კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი მედიამონიტორინგის შედეგები

(03.08.2021 – 02.09.2021)

კომუნიკაციების კომისია 2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2021 წლის 03 აგვისტოდან 02 სექტემბრის პერიოდს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 საერთო საეთერო ეროვნული მაუწყებლის თვისებრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი. აღნიშნული სამაუწყებლო არხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, ტელეიმედი, ტელეკომპანია პირველი და მთავარი არხი. საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი მიმდინარეობდა საუკეთესო დროს, კერძოდ 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგი მთელი დღის განმავლობაში.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანს წარმოადგენს:

ა) წინასაარჩევნო რეკლამა;

ბ) წინასაარჩევნო დებატები;

გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;

დ) წინასაარჩევნო აგიტაცია;

ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მედია მონიტორინგს, კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, კონკურსის წესით სპეციალურად შერჩეული პირები ახორციელებდნენ.

კომუნიკაციების კომისიის მონიტორები სპეციალური ტრენინგის ფარგლებში ევროპის საბჭოს მედიაექსპერტმა, ორგანიზაცია „მემო 98“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა რასტო კუზელმა გადაამზადა. ექსპერტმა მონიტორებს, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თვისებრივი მედიამონიტორინგის განხორციელების თავისებურებები და სპეციფიკა გააცნო. მონიტორებმა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად გაიღრმავეს ცოდნა წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ჩატარებაში.

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინასაარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე

განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. დაკვირების საგანია ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია სწავლობს ყოველ კონკრეტულ საკითხს და ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული არხების მონიტორინგი მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ ნაწილს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს სუბიექტისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას და გაშუქების ტონს. <u>**პირდაპირ**</u> დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, <u>**ირიბად**</u> დათმობილი დროის ფარგლებში, გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო. როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გაშუქებისას მონიტორის მიერ ხდება გაშუქების ტონის შეფასება სამი კატეგორიის შესაბამისად: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური.

მონიტორიგნის შედეგებში ინფორმაცია ასევე ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც, კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

თვისებრივი მონიტორინგის დროს მაუწყებლზე დაკვირვება ხორციელდება შემდეგი სამაუწყებლო სტანდარტების ჭრილში: ბალანსი, სიზუსტე, რელევანტურობა, სიცხადე, მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, სიძულვილის ენა, ყალბი ამბები, დისკრიმინაცია და ვიზუალური/აუდიო მანიპულაცია.

<u>**ძირითადი მიგნებები:**</u>

- აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საარჩევნო პერიოდი დაემთხვა აგვისტოს თვეს, როცა მაუწყებლები ახალი სამაუწყებლო სეზონისთვის ემზადებიან და სამაუწყებლო ბადე, როგორც წესი, არ არის ხოლმე დატვირთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონტენტით.
- „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ თავის საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“ აშუქებდა ყველა ძირითადი საარჩევნო სუბიექტის აქტივობას. ზოგადად, დაცული იყო ყველა ძირითადი სტანდარტი: მიუკერძოებლობა, ბალანსი, ნეიტრალური ტონი; მაუწყებელზე შუქდებოდა,

როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების აქტივობები. პირდაპირი ეთერი ეთმობოდა სხვადასხვა პარტიების მიერ კანდიდატების წარდგენის ღონისძიებებს. ადგილი არ ჰქონია ვიზუალურ და აუდიო მანიპულაციებს.

იყო ცალკეული შემთხვევები, როცა სიუჟეტებს აკლდა სიცხადე და არ იყო წარმოდგენილი საპირისპირო პოზიცია.

საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა გავიდა ეთერში, რომლის წამყვანიც გამოირჩეოდა კრიტიკული შეკითხვების დასმით.

- „აჭარის ტელევიზიის“ ეთერში წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება მიმდინარეობდა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებლად, არადისკრიმინაციულად და მშვიდ ტონში. წამყვანები და ჟურნალისტები მაქსიმალურად იცავდნენ ობიექტურ მიდგომას ყველა წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მიმართ, მიუხედავად მათი პოლიტიკური წარმომავლობისა. ადგილი არ ჰქონდა პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვას და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენებას. მომზადებული სიუჟეტები იყო დაბალანსებული. წინასაარჩევნო სიუჟეტები ძირითადად იყო ინფორმაციული ხასიათის, ხდებოდა როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების აქტივობების გაშუქება.
- „ტელეიმედის“ ეთერში გამოიკვეთა პოზიტიური დამოკიდებულება მთავრობასა და „ქართული ოცნების” მიმართ. ამავდროულად იკვეთებოდა აშკარა ნეგატიური ტონი ოპოზიციის წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი „ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლების მიმართ. სიუჟეტებში შეინიშნებოდა ტენდენცია, სადაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით წარმოჩენილი იყო მმართველი პარტიის რამდენიმე წარმომადგენლის პოზიცია, მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შეზღუდული რაოდენობით ან საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი. სიუჟეტები გაჯერებული იყო ოპოზიციური პარტიების კრიტიკით, სადაც კრიტიკის ავტორებს როგორც სიუჟეტში მონაწილე პირები, ისე სიუჟეტის ავტორი და საინფორმაციო გამოშვების წამყვანები წარმოადგენენ.

საანგარიშო პერიოდში, პირდაპირ ეთერსა და საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად შუქდებოდა პარტია „ქართული ოცნების” მიერ დედაქალაქსა და რეგიონებში კანდიდატების წარდგენის ღონისძიებები. პირდაპირ ეთერში შუქდებოდა პარტია „ქართული ოცნების” წევრთა ბრიფინგები და განცხადებებიც, მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიების საარჩევნო ღონისძიებებს თითქმის არ ეთმობა პირდაპირი ეთერი.

- „რუსთავი 2“ მიმდინარე მოვლენებს მეტწილად ეთიკური სტანდარტების დაცვით გადმოსცემდა. ჟურნალისტების ტექსტებში წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებისას არ გვხვდებოდა დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება. მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიმართ მკვეთრად გამოხატული პოზიტიური ან ნეგატიური ტონი კი უმეტეს შემთხვევაში თავად პოლიტიკოსებს ეკუთვნოდათ. მაუწყებელი ფართოდ აშუქებდა ყველა კვალიფიციური სუბიექტის საარჩევნო შეხვედრებს და კანდიდატების წარდგენის ღონისძიებებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო ღონისძიებების გაშუქებას ყველაზე მეტი დრო ეთმობოდა. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას სიუჟეტებში „ქართული ოცნების” წარმომადგენლები სარგებლობდნენ როგორც პირველი, ასევე, დასკვნითი სიტყვის უფლებით.

  შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ მმართველი პარტიის კანდიდატების წარდგენა და მთავრობის აქტივობები ერთ სიუჟეტად შუქდებოდა, რასაც შესაძლოა მაყურებლისთვის გაერთულებინა სამთავრობო აქტივობების გამიჯვნა „ქართული ოცნების“ საქმიანობისგან.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანი კრიტიკული კითხვების დასმით გამოირჩეოდა.

- „ტელეკომპანია პირველი“ „ქართული ოცნების“ და საქართველოს მთავრობის მიმართ მკვეთრად კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩეოდა, ასევე, ნათლად გამოჩნდა ლოიალური განწყობები ოპოზიციის მიმართ. წინასაარჩევნო თემატიკას მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მნიშვნელოვანი დრო არ ეთმობოდა, თითქმის არ ხდებოდა საარჩევნო აქტივობის გაშუქება. თვალშისაცემი იყო რეპორტაჟების ავტორების დეკლარირებული უარყოფითი და ირონიული განწყობები „ქართული ოცნების“ მიმართ.

  ადგილი ჰქონდა ყალბი ახალი ამბების გავრცელებას, რომლებიც მხოლოდ ვარაუდებზე იყო დაყრდნობილი. პრობლემად რჩება წამყვანების მხრიდან გაურკვეველი წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის უტყუარ რეალობად წარმოჩენის მცდელობა, რამაც შესაძლოა მაყურებლის შეცდომაში შეყვანას შეუწყოს ხელი.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები მიკერძოებული და დაუბალანსებელი იყო. ეთერი მხოლოდ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს ეთმობოდათ. წამყვანები ხელისუფლებას ღიად უპირისპირდებოდნენ. მათი ტექსტები მკვეთრად გამოხატული ნეგატიური ტონით და ირონიითა იყო გაჯერებული, ემუქრებოდნენ ხელისუფლებას „დამთავრებით“, ღიად ემხრობოდნენ ოპოზიციურ კანდიდატებს და პირდაპირ ეთერში უსურვებდნენ მათ გამარჯვებას.

- „მთავარ არხზე“ მკვეთრად დადებითი და მიკერძოებული დამოკიდებულება დაფიქსირდა ოპოზიციის, განსაკუთრებით „ნაცნიონალურ მოძრაობის“ მიმართ და ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოს მთავრობის და „ქართული ოცნების“ მიმართ. ფიქსირდებოდა ტენდენცია, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრების გაშუქების დროს, არხი ძირითადად პარტიას აკრიტიკებდა და ამ კონკრეტულ საარჩევნო ღონისძიებაზე საერთოდ არაფერს ამბობდა. მთავრობის და „ქართული ოცნების“ მხრიდან გვხვდებოდა ირონიული დამოკიდებულება წამყვანების მხრიდან. ამავე დროს, არხი სისტემატიურად უთმობდა პირდაპირ ეთერს ოპოზიციას, განსაკუთრებით „ნაციონალურ მოძრაობას“, „ელენე ხოშტარია - დროას“, „ევროპული საქართველოს“, „გირჩი-მეტი თავისუფლებას“ და „ლელოს“'.

  ხშირი იყო სიუჟეტები, სადაც ოპოზიციის მხრიდან ისმოდა ბრალდებები მმართველი პარტიის მიმართ, მათ კი საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება არ ეძლეოდათ. იყო შემთხვევები ყალბი ახალი ამბების გადმოცემის, რომელშიც უსაფუძვლო ბრალდებები და ფაქტებით გაუმყარებელი ინფორმაცია იყო გადმოცემული.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში წამყვანები ღიად უპირისპირდებოდნენ მმართველ ძალას, ისმოდა შეურაცხმყოფელი ლექსიკა, პირდაპირი მხარდაჭერა ოპოზიციური ძალების და მოწოდებები ვინ არ უნდა შემოხაზონ არჩევნებზე მისულმა ამომრჩევლებმა.

ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგის შედეგები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: საქართველოს მთავრობა - 23.7% (პოზიტიური - 11%, ნეგატიური - 2%), „ქართული ოცნება“ – 21.9% (პოზიტიური - 25%, ნეგატიური - 12%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 9.3% (პოზიტიური - 5%, ნეგატიური - 5%), „მესამე ძალა“ – 7.5% (პოზიტიური - 33%, ნეგატიური - 5%), „ლელო“ – 7% (პოზიტიური - 27%, ნეგატიური - 1%), „გახარია - საქართველოსთვის“ – 6.6% (პოზიტიური - 10%, ნეგატიური - 12%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 5%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - მაუწყებელი თავის საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“ აშუქებდა ყველა ძირითადი საარჩევნო სუბიექტის აქტივობას. ზოგადად, დაცული იყო ყველა ძირითადი სტანდარტი: მიუკერძოებლობა, ბალანსი, ნეიტრალური ტონი; არ ყოფილა გამოყენებული სიძულვილის ენა, ადგილი არ ჰქონია ვიზუალურ და აუდიო მანიპულაციებს.

მაუწყებელზე შუქდებოდა როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო აქტივობები. შეძლებისდაგვარად პირდაპირი ეთერი ეთმობოდა სხვადასხვა პარტიების მიერ კანდიდატების წარდგენის ღონისძიებებს.

იყო რამდენიმე დაუბალანსებელი სიუჟეტი. მაგ. რედაქციამ ვრცლად გააშუქა სამთავრობო უწყებების 10 წლიანი განვითარების გეგმის პრეზენტაციები, რომლებიც სამინისტროებმა გამართეს. აღნიშნული გაშუქება წარმოადგენდა მხოლოდ იმის ტრანსლირებას, რა გეგმები აქვს მთავრობას.

სიცხადე აკლდა 6 აგვისტოს ეროვნული მუზეუმის შესახებ მომზადებულ თემას. წამყვანმა მხოლოდ კულტურის მინისტრის განცხადება გაგვაცნო საკითხთან დაკავშირებით. არაფერი თქმულა წინარე პროცესებზე და იმაზე, რა პრობლემატიკა უძღოდა წინ ამ განცხადებას. სიუჟეტში, ასევე არ იყო წარმოდგენილი საპირისპირო პოზიცია.

12 აგვისტოს არხმა გააკეთა განაცხადი, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს არ დაუძახეს ელენე ხოშტარიას პარტიის „დროას“ პრეზენტაციაზე, რომელიც იმ წუთებში იმართებოდა და რომ არხი არკვევს, რა მიზეზით არ შეატყობინეს „მოამბეს“ ამის შესახებ. ირკვევა, რომ ელენე ხოშტარია ბოიკოტს უცხადებს საზოგადოებრივ მაუწყებელს. მომდევნო დღეს „მოამბემ“ აღნიშნული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია საკუთარი ძალებით მოძიებული მასალის მიხედვით მოამზადა. გაშუქებისას დაცული იყო ნეიტრალური ტონი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - საანგარიშო პერიოდში არხზე გავიდა ერთადერთი საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემა „რეალური სივრცე“.

7 აგვისტოს გადაცემის თემა იყო: შალვა ამირანაშვილის მუზეუმის გარშემო შექმნილი მდგომარეობა. გადაცემაში მონაწილეობდნენ ეროვნული მუზეუმის თანამშრომლები. წამყვანის განცხადებით, გადაცემაში არ მივიდნენ საქართველოს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი და მუზეუმის ახალი დირექტორი, შესაბამისად, საპირისპირო მხარის პოზიცია საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა, თუმცა, პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება რედაქციამ უზრუნველყო.

წამყვანი საკმაოდ კრიტიკული იყო კულტურის მინისტრის და ზოგადად უწყების მიმართ. კერძოდ, წამყვანმა განაცხადა: „ხელოვნების მუზეუმის შენობის ირგვლივ აჟიოტაჟის ჩაცხრობას კვლავ ქალბატონი მინისტრი შეეცადა, მისი თქმით შენობა პირვანდელი სახით აღდგება, თუმცა მანამდე იქიდან საგანძურის და უნიკალური ექსპონატების ევაკუაცია უნდა მოხდეს, მაგრამ როგორ, რა დროში, რა გეგმით, და სად? ამ კითხვებზე პასუხი კვლავაც ბუნდოვანი და ნაკლებად სანდოა. უნდობლობის საფუძველი კი ამ უწყების მიმართ საზოგადოებას ნამდვილად აქვს, ამას ბევრი მიზეზი აქვს, საყდრისი აფეთქდა ამ ქვეყანაში, გელათი იფშვნება ცუდი გადახურვის გამო. უნდობლობას კიდევ უფრო ამყარებს ტონი და პათოსი, რომელიც ამ უმნიშვნელოვანესი უწყების ხელმძღვანელმა ადამიანებთან სალაპარაკოდ აირჩია.“

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


საზოგადოებრივი მაუწყებელი
23,7%
21,9%
9,3%
7,5%
7,0%
6,6%
4,9%
3,7%
3,1%
2,5%
2,4%
2,0%
5,3%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
მესამე ძალა
ლელო
გახარია - საქართველოსთვის
ევროპული საქართველო
გირჩი-მეტი თავისუფლება
საქართველოს პრეზიდენტი
ელენე ხოშტარია - დროა
გირჩი
მოქალაქეები
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება 45% 55%
მესამე ძალა 28% 72%
საქართველოს პრეზიდენტი 57% 43%
ნაციონალური მოძრაობა 51% 49%
საქართველოს მთავრობა 47% 53%
ლელო 23% 77%
ევროპული საქართველო 49% 51%
ელენე ხოშტარია - დროა 57% 43%
გირჩი-მეტი თავისუფლება 54% 46%
გირჩი 20% 80%
გახარია - საქართველოსთვის 56% 44%
მოქალაქეები 19% 81%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
3%
97%
10%
78%
12%
5%
95%
4%
96%
13%
87%
7%
92%
27%
72%
1%
11%
87%
2%
5%
90%
5%
1%
97%
2%
33%
62%
5%
25%
63%
12%
მოქალაქეები
ბახარია - საქართველოსთვის
გირჩი
გირჩი-მეტი თავისუფლებას
ელენე ხოშტარია - დრო
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
3%
10%
12%
5%
4%
13%
7%
27%
1%
11%
2%
5%
5%
1%
2%
33%
5%
25%
12%
მოქალაქეები
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი
გირჩი-მეტი თავისუფლება
ელენე ხიმშიაშვილი - დრონა
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება


გენდერი
25%
75%
ქალი
კაცი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 40.5% (პოზიტიური - 60%, ნეგატიური - 24%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 22.7% (პოზიტიური - 71%, ნეგატიური - 5%), „გახარია - საქართველოსთვის“ – 5.8% (პოზიტიური - 60%, ნეგატიური - 11%), საქართველოს მთავრობა - 5.6% (პოზიტიური - 31%, ნეგატიური - 15%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 5%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის 20:00 საათიანი საინფორმაციო ახალი ამბები „მთავარის“ ეთერში წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება მიმდინარეობდა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებლად, არადისკრიმინაციულად და მშვიდ ტონში. წამყვანები და ჟურნალისტები მაქსიმალურად იცავდნენ ობიექტურ მიდგომას ყველა წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მიმართ, მიუხედავად მათი პოლიტიკური წარმომავლობისა. ადგილი არ ჰქონდა პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვას და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენებას. მომზადებული სიუჟეტები იყო დაბალანსებული. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მოვლენის გაშუქების დროს პროცესში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი მხარე, ჟურნალისტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რა მიზეზით არ მიიღო მონაწილეობა მეორე მხარემ ან რა გახდა ცალმხრივი სიუჟეტის მომზადების საფუძველი. თითოეულ სიუჟეტში მხარეებს შორის დრო თანაბრად იყო დათმობილი, ყველა მონაწილეს ეძლეოდა საშუალება, გამოეთქვა თავისი კრიტიკული მოსაზრება მეორე პოლიტიკური სუბიექტის შესახებ.

წინასაარჩევნო სიუჟეტები ძირითადად იყო ინფორმაციული ხასიათის, ხდებოდა როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების აქტივობების გაშუქება. ამომრჩეველთა უკეთ ინფორმირების მიზნით „მთავარში“ ინტეგრირებული იყო 5-6 წუთიანი სპეციალური რუბრიკა „მერობის კანდიდატები“, რომელშიც 17 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით მონაწილეობა მიიღო და ჟურნალისტის კითხვებს უპასუხა აჭარის 7 მუნიციპალიტეტის მერობის 12-მა კანდიდატმა. ამათგან, 6 – „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატი, 5 – „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატი, 1 – „გირჩი-მეტი თავისუფლების“ მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატი. კითხვები ისე იყო დასმული, რომ თითოეულ კანდიდატს მიეცა შესაძლებლობა, სრულად წარმოეჩინა თავისი საპროგრამო ხედვები გამარჯვების შემთხვევაში, ასევე, ამომრჩეველს შექმნოდა შთაბეჭდილება კონკრეტული კანდიდატის პიროვნული მახასიათებლების შესახებ. საქართველოს მთავრობისა და აჭარის ადგილობრივი მთავრობის აქტიურობების გაშუქების დროს აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ მოვლენის, ფაქტის გადმოცემაზე, აღწერაზე, არ

შეიმჩნეოდა სუბიექტური მიდგომა. ასეთივე დამოკიდებულება იყო ექსპერტებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მიმართ.

მონიტორინგის პერიოდში შუქდებოდა ყველა ის საპროტესტო აქტიურობა, რომელსაც ახორციელებდნენ საარჩევნო სუბიექტები, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე უშუალოდ აჭარის რეგიონში.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები მაუწყებლის ეთერში არ განთავსებულა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი არ შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება 35% 65%
მესამე ძალა 29% 71%
საქართველოს პრეზიდენტი 3% 97%
ნაციონალური მოძრაობა 25% 75%
საქართველოს მთავრობა 50% 50%
ლელო 31% 69%
ევროპული საქართველო 34% 66%
ელენე ხოშტარია - დროა 61% 39%
გირჩი-მეტი თავისუფლება 11% 89%
გირჩი 26% 74%
გახარია - საქართველოსთვის 33% 67%
ანა დოლიძე-ხალხისთვის 46% 54%
აჭარის მთავრობა 37% 63%
ადგილობრივი მთავრობა 53% 47%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
37%
45%
19%
54%
46%
54%
46%
60%
28%
11%
29%
71%
84%
16%
35%
65%
41%
55%
4%
59%
41%
31%
55%
15%
71%
25%
5%
10%
90%
55%
35%
9%
60%
17%
24%
ადგილობრივი მთავრობა
აჭარის მთავრობა
ანა დოლიძე-ხალხისთვის
ბახარია - საქართველოსთვის
გირჩი
გირჩი-მეტი თავისუფლება
ელენე ხოშტარია - დრო
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
37%
54%
54%
60%
29%
84%
35%
41%
59%
31%
71%
10%
55%
60%
19%
11%
4%
15%
5%
9%
24%
ადგილობრივი მთავრობა
აჭარის მთავრობა
ანა დოლიძე-ხალიხასთვის
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი
გირჩი-მეტი თავისუფლება
ელენე ხოშტარია - დრო
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება


გენდერი
13%
87%
ქალი
კაცი

შპს „ტელეიმედი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 48.2% (პოზიტიური - 71%, ნეგატიური - 3%), საქართველოს მთავრობა - 20.1% (პოზიტიური - 31%, ნეგატიური - 1%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 11.3% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 64%), ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - მონიტორინგის პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გამოიკვეთა პოზიტიური დამოკიდებულება მთავრობასა და „ქართული ოცნების” მიმართ. ამავდროულად იკვეთებოდა აშკარა ნეგატიური ტონი ოპოზიციის წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი „ნაციონალური მოძრაობის” და „გახარია - საქართველოსთვის“ წარმომადგენლების მიმართ. სიუჟეტებში შეინიშნებოდა ტენდენცია, სადაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით წარმოჩენილი იყო მმართველი პარტიის რამდენიმე წარმომადგენლის პოზიცია, მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შეზღუდული რაოდენობით ან საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტია „ნაციონალური მოძრაობა” საინფორმაციო გადაცემის წამყვანების მიერ ხშირად მოიხსენიებოდა როგორც „რადიკალები“.

სიუჟეტები გაჯერებული იყო ოპოზიციური პარტიების კრიტიკით, სადაც კრიტიკის ავტორებს როგორც სიუჟეტში მონაწილე პირები, ისე სიუჟეტის ავტორი და საინფორმაციო გამოშვების წამყვანები წარმოადგენდნენ. ასეთი სიუჟეტები დაუბალანსებელი იყო და კრიტიკის ავტორებს ბევრად მეტი დრო ეთმობოდათ ვიდრე მას, ვისაც აკრიტიკებდნენ. მაგ. 02 სექტემბერს გასულ სიუჟეტში, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შარლ-მიშელის დოკუმენტის ხემოწერას ეხებოდა, წამყვანის, „ქართული ოცნების“ და სხვა პარტიების წარმომადგენლების კომენტარებს „ნაციონალურ მოძრაობაზე“, რომლებიც ძირითადად ნეგატიურ კონტექსტში საუბრობდნენ, 7 წუთზე მეტი დრო დაეთმო, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების კომენტარს 35 წამი და ეს კომენტარი არ პასუხობდა იმ კრიტიკას, რომელიც მოდიოდა ამ პარტიის მისამართით.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა მოამზადა და საინფორმაციო გამოშვებაში განათავსა ისეთი შინაარსის სიუჟეტები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ოპოზიციური პარტიების მოუმზადებლობას თვითმმართველობის არჩევნებისათვის, იყო აპელირება ოპოზიციაში არსებულ დაპირისპირებებზეც, რის პარალელურადაც განიხილებოდა მმართველი პარტიის მზაობა და კოორდინირებული წინასაარჩევნო კამპანია, რაც “ქართულ ოცნებას” დადებით კონტექსტში წარმოაჩენდა. მაგალითად, 9 აგვისტოს გასულ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სიუჟეტის დასასრულს 20:26 საათზე ისმის ჟურნალისტის კომენტარი: „სანამ ოპოზიცია ხალხს ეძებს და კანდიდატების დასახელებას ვერ ახერხებს, კახა კალაძე და სხვა

კადიდატები ამომრჩეველს ხვდებიან და 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის ემზადებიან". ასევე, 13 აგვისტოს 20:21 საათზე საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ამბობს ფრაზას „ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბრობენ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც კამპანიას ვერ იწყებენ და არ ჰყავთ მერობის კანდიდატები, პარტიის ლიდერები კი უბრალოდ გაქრენ."

19 აგვისტოს განთავსებული სიუჟეტი დაეთმო გიგი უგულავას კანდიდატად დასახელებას. სიუჟეტის წამყვანის მხრიდან აქცენტი გაკეთდა უგულავას, როგორც არასათანადო კანდიდატად წარმოჩენაზე, ევროპულ საქართველოსთან კონფლიქტზე, წარსულში ნასამართლეობაზე, ეს ყველაფერი კი მმართველი გუნდის შეფასებების საშუალებით გაკეთდა. კანდიდატს ნეგატიურად აფასებდნენ როგორც გირჩისა და მოქალაქეების წევრები, ისე აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება იკვეთებოდა საინფორმაციო გადაცემის წამყვანისა და სიუჟეტის ავტორის ტონშიც: „ბევრი იფიქრეს თუ ცოტა სააკაშვილის რეჟიმის ყოფილმა და მოქმედმა, ისევ გაერთიანებულმა სახეებმა ფოთში მერად გიგი უგულავა წარადგინეს. საინტერესოა, რომ გიგი უგულავა, რომელმაც სააკაშვილი ჯერ ჯართში ჩააბარა, მერე ბოკერიას პარტია დემარშით დატოვა, ნაციონალურმა მოძრაობამ შეარჩია."

აღსანიშნავია, რომ პარტიების დაკვეთით ჩატარებული წინასარჩევნო სოციოლოგიური კვლევების შედეგების გასაჯაროვებისას, „ნაციონალური მოძრაობის" კვლევის სანდოობაზე საუბრისას წამყვანის მიერ ხაზი გაესვა, რომ ის „ნაცმოძრაობის პარტაქტივის მიერ იყო ჩატარებული", მაშინ როდესაც ქართული ოცნების კვლევაც პარტიის სოციოლოგიურმა ჯგუფმა ჩაატარა, თუმცა, ჟურნალისტის მხრიდან მსგავსი რეპლიკა არ ყოფილა გამოყენებული.

მაუწყებელი აქტიურად აშუქებდა და პირდაპირ ეთერს უთმობდა ისეთ აქტუალურ მოვლენებს, როგორებიცაა პრეზიდენტის განცხადება, მთავრობის სხდომა, პრემიერ მინისტრის გამოსვლა ყირიმის პლატფორმის სამიტზე და საქართველოსა და უკრაინის პრემიერ-მინისტრების ბრიფინგი, მნიშვნელოვანი ღონისძიებები და მიღებები.

ყოველდღიურ რეჟიმში შუქდება კოვიდ-პანდემიასა და ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებული სიახლეები. ასეთი ტიპის სიუჟეტებში ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო და საზოგადოების ინფორმირებას ემსახურებოდა.

საანგარიშო პერიოდში პირდაპირ ეთერსა და საინფორმაციო გამოშვებაში სიუჟეტის სახით აქტიურად შუქდებოდა პარტია „ქართული ოცნების" მიერ დედაქალაქსა და რეგიონებში კანდიდატების წარდგენის ღონისძიებები. პირდაპირ ეთერში შუქდებოდა პარტია „ქართული ოცნების" წევრთა ბრიფინგები და განცხადებებიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციურ პარტიების საარჩევნო ღონისძიებებს თითქმის არ ეთმობა პირდაპირი ეთერი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია იმედმა ქართული ოცნების 17 საარჩევნო კანდიდატზე, მათი საქმიანობის შეფასებაზე, ცხოვრებისა და მომავალი გეგმების, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შესახებ გააკეთა ჩანახატების ციკლი, სადაც თითოეული კანდიდატი პოზიტიურ კონტექსტში გაშუქდა. ასეთი შინაარსის სიუჟეტები არცერთ ოპოზიციურ კანდიდატზე არ გაკეთებულა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„იმედის ფაქტორი"** სტუმრობდა: „ქართული ოცნება" (ერთხელ).

3 აგვისტოს გადაცემაში **„იმედის ფაქტორი"**, გადაცემის თემას წარმოადგენდა არჩევნები 2021. სტუდიაში მიწვეული იყვნენ „ქართული ოცნების" წარმომადგენლები, რომლებთანაც განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ე.წ შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირება და სალომე ზურაბიშვილის განცხადების შეფასება. განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია ოპოზიციის არცერთ წარმომადგენელს, შესაბამისად საკითხზე მსჯელობა ცალმხრივად მიმდინარეობდა. წამყვანმა ოპოზიციური პარტიები მოიხსენია ტერმინით „რადიკალები".

გადაცემა **„იმედის კვირა"-ში** მომზადებულ სიუჟეტებში მონაწილეობდნენ შემდეგი სუბიექტების წარმომადგენლები: „ქართული ოცნება" (ერთხელ), „ნაციონალური მოძრაობა" (ერთხელ), „ევროპული საქართველო" (ერთხელ) და საქართველოს მთავრობა (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში, საინფორმაციო გამოშვებაში **„ქრონიკა"** თოქ-შოუს ფორმატში ინტეგრირებული იყო ინტერვიუ შემდეგ სუბიექტებთან: „ქართული ოცნება" (ცამეტჯერ).

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია იმედის ეთერში წინასაარჩევნო პოლიტიკური დებატები განთავსებული არ ყოფილა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის" თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი არ შესულა.


იმედი
48,2%
20,1%
11,3%
3,7%
2,8%
2,8%
1,6%
1,5%
1,3%
1,2%
1,2%
1,0%
3,3%
ქართული ოცნება
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი
ევროპული საქართველო
ელენე ხოშტარია - დროა
ადგილობრივი მთავრობა
ლელო
მოქალაქეები
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება 38% 62%
მესამე ძალა 63% 37%
საქართველოს პრეზიდენტი 28% 72%
ნაციონალური მოძრაობა 87% 13%
საქართველოს მთავრობა 49% 51%
ლელო 60% 40%
ევროპული საქართველო 86% 14%
ელენე ხოშტარია - დროა 98% 2%
მოქალაქეები 47% 53%
გირჩი 44% 56%
გახარია - საქართველოსთვის 81% 19%
ადგილობრივი მთავრობა 49% 51%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
31%
62%
7%
4%
40%
57%
9%
91%
15%
85%
2%
38%
59%
40%
60%
9%
74%
17%
31%
68%
1%
2%
34%
64%
99%
1%
12%
59%
29%
71%
26%
3%
ადგილობრივი მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი
მოქალაქეები
ელენე ხომჩარია - დროა
ევროპული საქართველო
ლელი
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
31%
7%
4%
57%
9%
15
2%
59%
60%
9%
17%
31%
1%
2%
64%
12%
29%
71%
3%
ადგილობრივი მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი
მოქალაქეები
ელენე ხოშტარია - დროა
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
მესამე ძალა
ქართული ოცნება


გენდერი
17%
83%
ქალი
კაცი

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 38.4% (პოზიტიური - 51%, ნეგატიური - 6%), საქართველოს მთავრობა - 21.6% (პოზიტიური - 39%, ნეგატიური - 2%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 11% (პოზიტიური - 16%, ნეგატიური - 34%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „კურიერის“ ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს მეტწილად ეთიკური სტანდარტების დაცვით გადმოსცემდნენ.

ჟურნალისტების ტექსტებში არ გვხვდებოდა დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებისას. მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიმართ მკვეთრად გამოხატული პოზიტიური ან ნეგატიური ტონი კი უმეტეს შემთხვევაში თავად პოლიტიკოსებს ეკუთვნოდათ.

საანგარიშე პერიოდში მთავარი საინფორმაციო გამოშვება უმრავლეს შემთხვევაში კოვიდვითარების მიმოხილვით იწყებოდა, ჟურნალისტი მაქსიმალურად ცდილობდა უახლესი ინფორმაცია მიეწოდებინა მოსახლეობისთვის. სიუჟეტები გახლდათ გაწონასწორებული და მიზნად ისახავდა საზოგადოების სწორ ინფორმირებას.

კურიერში მეტწილად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. მაუწყებელი ფართოდ აშუქებდა ყველა კვალიფიციური სუბიექტის საარჩევნო შეხვედრებს და კანდიდატების წარდგენის ღონისძიებებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო ღონისძიებების გაშუქებას შედარებით მეტი დრო ეთმობოდა.

„კურიერში“ მმართველი პარტიისადმი კრიტიკა ხელისუფლების ოპონენტების მხრიდან ისმოდა. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას სიუჟეტებში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სარგებლობდნენ როგორც პირველი, ასევე, დასკვნითი სიტყვის უფლებით.

მაგალითად, 4 აგვისტოს, 21:30 საათზე ეთერში გასული სიუჟეტი, რომელიც ლიეტუვის სეიმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ჟიგიმანტას პავილიონისის არაოფიციალურ შეხვედრას ეხებოდა, თავდაპირველად ქართული ოცნების დეპუტატის კომენტარებით დაიწყო, რომელსაც მოსდევდა ოპოზიციური სპექტრის შეფასებები, ბოლოს კი კვლავ ქართული ოცნების წარმომადგენელი.

6 აგვისტოს, 21:14 საათზე გასული სიუჟეტი სახელწოდებით - ,,პოლიტიკური განაცხადი'' ქართული ოცნების თავმჯდომარის კომენტარით დაიწყო, რომლის შემდგომაც საზოგადოებამ

მოისმინა ოპოზიციური პარტიების წარმომადენელთა შეფასებები, ბოლოს კი კვლავ ქართული ოცნების დეპუტატების ერთგვარი შემაჯამებელი ინტერვიუები.

საანგარიშე პერიოდში „ქართული ოცნების“ წინასაარჩენო აქტივობები ფართოდ შუქდებოდა უმეტესად დადებით ან ნეიტრალურ კონტექსტში. არხი მათ სისტემატურად უთმობდა პირდაპირ საეთერო დროსაც. გამოიკვეთა ტენდენცია, კერძოდ ,,ქართული ოცნების'' კადიდატების წარდგენის გაშუქებისას, იმავე სიუჟეტში პოზიტიურ ჭრილში შუქდებოდა პრემიერისა და მთავრობის სხვა წევრების შეხვედრები მოსახლეობასთან, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მონახულება, რასაც შესაძლოა მაყურებლისთვის გაერთულებინა სამთავრობო აქტივობების გამიჯვნა „ქართული ოცნების“ საქმიანობისგან.

11 აგვისტოს სიუჟეტში (21:18:17 სთ) ,,კანდიდატების წარდგენის'' თაობაზე, ჟურნალისტის მხრიდან ვისმენთ: ,,თეთრიწყაროსა და გარდაბნის კანდიდატების წარდგენამდე პრემიერი მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის ახალაშენებულ საჯარო სკოლაში იმყოფებოდა, რომელიც ინვენტარით აღჭურვის ეტაპზეა'' მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის მეორე ნაწილი პრემიერის რანგში ირაკლი ღარიბაშვილის აქტივობას ეხებოდა სიუჟეტის დასახელება კვლავაც ,,კანდიდატების წარდგენა“ იყო.

27 აგვისტოს, 21:30:47 საათზე გასულ სიუჟეტში ,,კანდიდატების წარდგენა'' თავდაპირველად ქართული ოცნების ფოთის მერობის კანდიდატების წარდგენის ოფიციალური ღონისძიება გაშუქდა. თუმცა მოგვიანებით, იმავე სიუჟეტში ჟურნალისტმა განაცხადა: „წარდგენების პარალელურად პრემიერ მინისტრი მეთევზეებსა და თევზჭერის ლიცენზიის მფლობელებს შეხვდა“, ამავე სიუჟეტში ვისმენთ: „პრემიერი აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ წყემშიც ჩავიდა, სადაც ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრი დაათვალიერა და იქ დასაქმებულებს შეხვდა“, ამ შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის მეორე ნაწილი პრემიერ მინისტრის აქტივობებს ეხებოდა სიუჟეტის დასახელება კვლავაც „კანდიდატების წარდგენა“ იყო.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - მაუწყებლის ეთერში განთავსებული იყო გადაცემა **„დღის კურიერი“**, რომელსაც სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), აჭარის მთავრობის (ერთხელ) და საქართველოს მთავრობის (ხუთჯერ) წარმომადგენლები. გადაცემა ეთერში 3 აგვისტოდან 13 აგვისტოს ჩათვლით ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა, თუმცა უმეტესი დრო საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლებს ეთმობოდათ.

საანგარიშე პერიოდში „დღის კურიერი“ ერთადერთი საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემა იყო, აღნიშნულის მიუხედავად, არცერთხელ გამართულა საარჩევნო სუბიექტებს შორის დებატი მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მხოლოდ ერთხელ, ისიც ინდივიდუალურად, ჩართვით სტუმრობდენ გადაცემას, რომლის მთავარი თემა IRI-ს მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები გახლდათ. ჟურნალისტის მხრიდან ვისმენდით კრიტიკულ შეკითხვებს, როგორც მმართველი პარტიის, ისე „ნაციონალური მოძრაობის“ მისამართით.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“–ის თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
43%
57%
მესამე ძალა
36%
64%
საქართველოს პრეზიდენტი
34%
66%
ნაციონალური მოძრაობა
72%
28%
საქართველოს მთავრობა
51%
49%
ლელო
47%
53%
ევროპული საქართველო
65%
35%
ელენე ხოშტარია - დროა
66%
34%
გირჩი-მეტი თავისუფლება
52%
48%
გირჩი
36%
64%
გახარია - საქართველოსთვის
66%
34%
ადგილობრივი მთავრობა
44%
56%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
43%
57%
14%
45%
42%
11%
89%
44%
56%
26%
68%
6%
22%
78%
25%
75%
39%
59%
2%
16%
50%
34%
13%
82%
5%
43%
47%
9%
51%
44%
6%
ადგილობრივი მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი
გირჩი-მეტი თავისუფლება
ელენე ხუციშვილი - დრო
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
43%
14%
42%
11%
44%
26%
6%
22%
25%
39%
2%
16%
34%
13%
5%
43%
9%
51%
6%
ადგილობრივი მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
ვირჩი
ვირჩი-მეტი თავისუფლება
ელენე ხოშტარია - დროა
ევროპული საქართველო
ლელა
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება


გენდერი
20%
80%
ქალი
კაცი

შპს „ტელეკომპანია პირველი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 28.8% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 64%), საქართველოს მთავრობა - 18.8% (პოზიტიური - 3%, ნეგატიური - 47%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 10.6% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 16%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - ტვ პირველი ქართული ოცნების და ხელისუფლების მიმართ მკვეთრად ნეგატიური სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებლებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ საარჩევნო კამპანიის სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქება, საანგარიშო პერიოდში ნათლად გამოჩნდა არხის ლოიალური განწყობები ოპოზიციის მიმართ.

მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში განსაკუთრებული აქცენტი კრიმინალურ თემებსა და კოვიდ პანდემიით გამოწვეულ კრიზისებზე კეთდებოდა.

წინასაარჩევნო თემატიკას მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მნიშვნელოვანი დრო არ ეთმობოდა, თითქმის არ ხდებოდა საარჩევნო კანდიდატების ყოველდღიური აქტივობის გაშუქება, წინასაარჩევნო დაპირებების გაცნობა მაყურებლისთვის, მაშინ, როცა წინასაარჩევნო პერიოდში მედიის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება სწორედ ამომრჩევლის ინფორმირებაა, რათა არჩევნების დღეს მათ გააზრებული და ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ. მთავარ გამოშვებაში ოპოზიციის კანდიდატების აქტივობა იშვიათად შუქდებოდა, რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, მათი შეხვედრები და კანდიდატების წარდგენა არხზე თითქმის არ გაშუქებულა.

„ტვ პირველზე“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მოვლენების ცალმხრივი გაშუქება შეიძლება მივიჩნიოთ. ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ შესახებ კრიტიკული რეპორტაჟები უმეტესწილად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან მიწოდებულ ინფორმაციებზე/მასალებზე დაყრდნობით იყო მომზადებული და დანაშაულის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ერთ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებდნენ. ბრალდებების გასამყარებლად, ჟურნალისტების მხრიდან არ ხდებოდა დამატებითი ფაქტების და მტკიცებულებების მოძიება.

29 აგვისტო, „პირველები“ 20:00 - „ზუგდიდში „დროას“ ოფისი დააზიანეს, (20:32). წამყვანი: „...თავდასხმა ელენე ხოშტარიას პარტიის ოფისზე. „დროას“ შენობის ფასადი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა დააზიანეს. ზუგდიდში ოპოზიციური გაერთიანების ოფისზე შეურაცხმყოფელი წარწერები გააკეთეს, დააზიანეს სააგიტაციო მასალაც. „დროაში“ მიაჩნიათ,

რომ ოცნების პარტიულ აქტივს ძალადობაზე მწვანე შუქი პირადად პრემიერმა ღარიბაშვილმა აუნთო...“

ჟურნალისტი ოპოზიციის მხრიდან გავრცელებულ ბრალდებებზე დაყრდნობით მაყურებელს აწვდიდა ინფორმაციას, როგორც უტყუარ ფაქტს და ძალადობაში ამხელდა „ქართულ ოცნებას“, თუმცა მისი მხრიდან არ მომხდარა ბრალდებული მხარის პოზიციის გაზიარება მაყურებლისთვის ან დამატებითი ფაქტების მოძიება.

25 აგვისტო, „პირველები“ 20:00 „გახარიას გუნდის ტერორი“, (20:25) წამყვანი: „თვალთვალისა და შანტაჟის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ გახარიას გუნდის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი ახალი სეზონი დაიწყო. პარტიიდან „დემარშით“ წასული პრემიერის მხარდამჭერებს საჯარო სამსახურებიდან ერთიმეორის მიყოლებით უშვებენ, მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ მათ არ პატიობენ გახარიას მიმართ სიმპათიებს. ქართული ოცნების სამიზნე გახდა ყველა, ვინც რაიმე ფორმით გახარიას გუნდთან კავშირშია. „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისიდან მიღებულ ბრძანებებს კი რეგიონებში ადგილობრივი მაღალჩინოსნები პირნათლად ასრულებენ... წმენდა მიდის პოლიციაშიც. გომელაურის უწყება ყველას, ვისაც გახარიას გუნდის რომელიმე წევრთან გამარჯობა აქვს ნათქვამი, პოსტები დაატოვებინეს. აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ლერი და მირიან ქათამაძეებმა რამდენიმე საათის წინ გაიგეს, რომ სამსახურში ხვალ აღარ უნდა გამოცხადდნენ. ისინი გაუშვეს იმის გამო, რომ აჭარის პოლიციის ყოფილ შეფთან მეგობრობა აკავშირებდათ... გადამწყვეტ არჩევნებამდე რაც უფრო ნაკლები დრო რჩება, ხელისუფლება მისი ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს აძლიერებს.“

ჟურნალისტი სიუჟეტის მსვლელობისას მხოლოდ გახარიას გუნდის წევრთა განცხადებებზე დაყრდნობით საუბრობდა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ტერორზე, როგორც ფაქტზე და არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ხელისუფლების მხრიდან ოპონენტებთან ბრძოლის მეთოდების გაძლიერებას აანონსებდა. ამასთანავე, მაყურებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა მოესმინა დანაშაულში ბრალდებული პოლიტიკური ძალის და საგამოძიებო უწყების პოზიციები მათ წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებზე.

მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანები რეპორტაჟების წარდგენისას არ ფარავდნენ საკუთარ, ირონიულ განწყობებს ხელისუფლების და მმართველი გუნდის მიმართ. მაგალითად - ეკო მაღრაძე: „ქართულ ოცნებას“ რეალობის აღქმაში „როგორც წესი“ პრობლემა აქვს. (31 აგვისტო, 20:08).

ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც თვალშისაცემი იყო რეპორტაჟის ავტორების დეკლარირებული უარყოფითი განწყობები „ქართული ოცნების“ მიმართ.

2 სექტემბერი, „პირველები“ 20:00, „ენმ შარლ მიშელის შეთანხმებას ხელი მოაწერა“, (20:19) ჟურნალისტი რეპორტაჟს შემდეგი სიტყვებით ასრულებს: „...4 თვიანი მოლოდინის შემდეგ მიშელის დოკუმენტზე ენმ-ის ხელმოწერაა, მაგრამ „ქართული ოცნება“ შეთანხმებაში დაბრუნებას არ აპირებს და ამით ქვეყანას ახალ პოლიტიკურ ჩიხს და კრიზისს უმზადებს...“

ჟურნალისტი ძალისხმევას არ იშურებდა გაეკრიტიკებინა „ქართული ოცნების“ ნაბიჯები. ამავე დროს, რეპორტაჟის მიმდინარეობისას შეინიშნებოდა ჟურნალისტის მცდელობა მაქსიმალურად დადებით მოვლენად წარმოეჩინა 4 თვის დაგვიანებით „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან გაკეთებული ხელმოწერა „...ნაციონალური მოძრაობა 4 თვიანი ფიქრის შემდეგ მიშელის დოკუმენტს შეუერთდა, რათა ქვეყნის დასავლური ორიენტაცია გადაერჩინა“.

ასევე, პრობლემად რჩება წამყვანების მხრიდან მოვლენების უტყუარ რეალობად წარმოჩენის მცდელობა, რამაც შეიძლება მაყურებლის შეცდომაში შეყვანას შეუწყოს ხელი.

27 აგვისტო, „პირველები“ 20:00, „ტერორი „ ოცნების სახელით“, (20:07) წამყვანი: „...ტერორი ქართული ოცნების სახელით. წინასაარჩევნოდ მმართველმა პარტიამ ბიზნესმენებს შეუტია. ემუქრებიან და აშანტაჟებენ თუ ისინი დიდ ფულს „ქართული ოცნების“ ყულაბაში არ შეიტანენ. ბოსების ბრძანებებს ადგილობრივი მაღალჩინოსნები უპირობოდ ასრულებენ. ბიზნესმენების ტერორში სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორია მხილებული. ონლაინ გამოცემა "სამხრეთის კარიბჭე" ინფორმაციით, მაღალჩინოსანი ჯერ წინასწარ სწავლობს ბიზნესმენების ქონებრივ დეკლარაციას, შემდეგ კაბინეტში იბარებს და ფულის გადარიცხვას „ქართული ოცნების“ ანგარიშზე აიძულებს. ამის შედეგად მმართველ პარტიას 87-მა ბიზნესმენმა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთიდან 2 კვირაში ერთდროულად 700 000-მდე ლარი შესწირა...“

წამყვანი ბიზნესმენების ტერორისა და შანტაჟის შესახებ ინფორმაციას წარადგენდა როგორც უტყუარ ფაქტს, თუმცა მოგვიანებით ჟურნალისტის მიერ დასახელებული წყაროს „სამხრეთის კარიბჭე“-ზე განთავსებული (https://sknews.ge/ka/news/33494) სტატიიდან გაირკვა, რომ ბრალდება ტერორისა და შანტაჟის შესახებ ძირითადად ეჭვებსა და ვარაუდებზეა აგებული და არავითარ მტკიცებულებებს არ ეყრდნობოდა. ჟურნალისტს არ უცდია დაკავშირება იმ ბიზნესმენებთან, რომლებსაც ტერორის მსხვერპლად წარმოაჩენდნენ. ადგილი ჰქონდა ისეთი ბრალდებების გავრცელებას, რომლებიც ვარაუდებს ეყრდნობოდა და არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით.

29 აგვისტო, „პირველები“ 20:00, „მითვისებული სახელმწიფო ქონება“, 20:27. წამყვანი: „გორის მერი სკანდალში გაეხვა. ტროტუარებისთვის განკუთვნილი ფილები კოტე თავზარაშვილს სახლის ეზოში უპოვეს. ექსკლუზიური კადრები „ტვ პირველმა“ გადაიღო. ახლა „ქართული ოცნების“ წევრმა გორელებს უნდა აუხსნას რატომ აქვს ქალაქის ქუჩებისთვის ნაყიდი

სამშენებლო მასალა საკუთარ სახლში დასაწყობებული. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ფილები მერმა ტენდერში გამარჯვებული კომპანიისგან ატკატის სახით მიიღო...“

სიუჟეტის დასკვნით ნაწილში ჟურნალისტი საკუთარ მოსაზრებასაც აცნობდა მაყურებელს „...როგორც ჩანს კოტე თავზარაშვილი მმართველი გუნდის მიერ კანდიდატად მოჭიდავე ხინჩაგაშვილის წარდგენის გამო ნაწყენია და მერობის ბოლო დღეებს საკუთარი თავის საკეთილდღეოდ იყენებს...“

სიუჟეტიდანვე ირკვეოდა, რომ „ტვ პირველს“ უშუალოდ ფილები ადგილზე არ დაუთვალიერებია და არ დაუდგენია ფილების იდენტურობა ტროტუარებისთვის განკუთვნილ მასალასთან და მხოლოდ ოპოზიციური პარტიებიდან მიწოდებული ინფორმაციისა და გამოთქმული ეჭვების საფუძველზე დასდო ბრალი კორუფციაში გორის მერს. ჟურნალისტს არ უცდია თავად მერთან დაკავშირება და მისი საპასუხო კომენტარის მიღება. მოხდა ყალბი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მხოლოდ ვარაუდებზე იყო დაფუძნებული, ამასთან, ჟურნალისტის დასკვნითი სიტყვა კიდევ ერთხელ მიუთითებდა ჟურნალისტის მიზანზე მოეხდინა აღნიშნული პერსონის დისკრედიტაცია.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 30 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე კოტე თავზარაშვილმა ჟურნალისტებს შესყიდვის დოკუმენტაცია წარუდგინა, რომელიც ადასტურებდა, რომ მერმა ფილები, სხვა სამშენებლო მასალასთან ერთად, პირადად შეიძინა და მის მიერ შეძენილი ფილები სრულიად განსხვავდება როგორც ზომებით, ასევე ფერით იმ ფილებისგან, რომელსაც ქალაქში აგებდნენ.

ტვ პირველი აქტიურად აშუქებდა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისისა და მათ შორის ვაქცინაციასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს, რაც მაყურებლის ინფორმირებისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია, თუმცა იყო შემთხვევები, როცა პანდემიასთან დაკავშირებული ინფორმაციები იმ ფორმით ვრცელდებოდა, რასაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა, საზოგადოებაში პანიკის გაძლიერებისთვის შეეწყო ხელი.

11 აგვისტოს 20:00 საათიან გამოშვებაში გასულ ინფორმაციაში, წამყვანი მტკიცებით ფორმაში საუბრობდა ხელისუფლების გეგმების შესახებ, რომ „საველე ჰოსპიტლები პირდაპირ ქუჩებში მოეწყობა“.

(20:19:03) წამყვანი: „...ჯანდაცვის სამინისტრო უმძიმესი სცენარისთვის ემზადება. დიდი შენობები კლინიკებად გადაკეთდება და საველე ჰოსპიტლები პირდაპირ ქუჩებში მოეწყობა - ასეთია ჯანდაცვის სამინისტროს გეგმა, რომელიც დღეს მინისტრის მოადგილემ დაადასტურა. უმძიმესი გადაწყვეტილების მიღებას სამინისტრო ქვეყანაში არსებული ეპიდვითარების გამო აპირებს. უკვე ერთი კვირაა სახელმწიფო ვირუსის შეკავებას ვეღარ ახერხებს...“.

ამავე სიუჟეტში, ჯანდაცვის სამინისტროს კომენტარიდან (თამარ გაბუნია: მიდის საუბარი იმაზე რა იქნება საველე გადაწყვეტილება...) გაირკვა, რომ „საველე ჰოსპიტლების პირდაპირ ქუჩებში“ მოწყობის გადაწყვეტილება ჯერ მიღებული ნამდვილად არ იყო, ჟურნალისტი კი ცდილობდა მოვლენების დრამატიზების მიზნით მაყურებლისთვის არაზუსტი ინფორმაცია მიეწოდებინა.

ტვ პირველმა, 21-23 აგვისტოს პრემიერ-მინისტრის უკრაინაში ვიზიტი მხოლოდ უარყოფით კონტექსტში გააშუქა. როგორც ოფიციალური წყაროებიდან და სხვადასხვა მედიასაშულებებიდან ირკვევა, პრემიერმა უკრაინაში არაერთი ოფიციალური შეხვედრა გამართა, ასევე მონაწილეობა მიიღო ყირიმის პლატფორმის სამიტში, რომელსაც 40-ზე მეტი სახელმწიფოს ლიდერი ესწრებოდა და სიტყვითაც გამოვიდა.

სახელმწიფო მნიშვნელობის სამდღიანი ვიზიტის შესახებ დღის მთავარ გამოშვებებში არაფერი თქმულა. ვიზიტის შესახებ მწირი ინფორმაცია 22 აგვისტოს, 17 საათიანი გამოშვების ბოლო სიუჟეტად გაშუქდა. მოგვიანებით, 24 აგვისტოს 20:00 საათიან გამოშვებაში (20:32) კი მომზადდა რეპორტაჟი „მიშელმა ღარიბაშვილი გააფრთხილა“, რომელშიც ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრების შესახებ მხოლოდ ნეგატიური აქცენტები გაკეთდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - საანგარიშო პერიოდში არხზე **„დღის ამბები“** და **„პირველი ხაზი“** გადიოდა. გადაცემა **„დღის ამბები“** დღის განმავლობაში 4-ჯერ გადის და ძირითადი დრო ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვას ეთმობა. გადაცემას რამდენიმე წამყვანი ყავს, რომელთაც მკვეთრად გამოხატული ნეგატიური განწყობები აქვთ ხელისუფლების მიმართ, რაც ხშირად აისახება გადაცემის შინაარსზე.

მთლიანობაში, საანგარიშო პერიოდში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები მიკერძოებული და დაუბალანსებელი იყო.

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მთავრობის და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ, წამყვანები ძირითადად ოპოზიციური პარტიების დღის წესრიგს მიყვებოდნენ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მოძრაობა „დროას“ წარმომადგენლებთან წამყვანებს კრიტიკული კითხვები თითქმის არ დაუსვამთ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში, პირდაპირ ეთერში წამყვანების მხრიდან არ დაფიქსირებულა ღია მზაობა, რომ სთავაზობდნენ ეთერს „ქართული ოცნების“ და მთავრობის წარმომადგენლებს.

ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტები ღიად აფიქსირებდნენ საკუთარ პოლიტიკურ პრეფერენციებს. ინგა გრიგოლიამ პირდაპირ ეთერში არაერთხელ აღნიშნა, რომ ის ოპოზიციის მხარდამჭერია, რაც მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს აჩენს.

3 აგვისტოს, ინგა გრიგოლიამ „დღის ამბებში“ განაცხადა: „...მე მინდა ოპოზიციის გამარჯვება როგორც ამომრჩეველს, როგორც ჟურნალისტს...“ (21:46:55)

5 აგვისტო, გრიგოლიას „დღის ამბები“ 21:00 , (22:09:56) ინგა გრიგოლია: „ღიად ვამბობ - ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს!“ (22:18:44). ინგა გრიგოლია: „მე ოპოზიციის ამომრჩეველი ვარ ცალსახად და 5 ივლისის შემდეგ ღიად ვამბობ, რომ მეც ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ცვლილებები დადგეს ამ ქვეყანაში.“

არჩევნებში მონაწილე პარტიათა და კანდიდატთა სიმრავლის მიუხედავად, „ტვ პირველი“ ეთერს ძირითადად საზოგადოებისთვის უკვე კარგად ნაცნობ სახეებს უთმობდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ერთი და იგივე სტუმარი დღის მანძილზე რამდენჯერმეა ანალოგიური ფორმატის გადაცემაში იყო მიწვეული, რაც მაყურებელს მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას კიდევ უფრო უზღუდავდა. მაყურებელი ვერ ახერხებდა გაეცნო და მოესმინა არჩევნებში მონაწილე ახალი სუბიექტების შეხედულებები და დაპირებები.

გადაცემაში მიწვეული კანდიდატები მხოლოდ ზოგადი დაპირებებით შემოიფარგლებოდნენ, უმეტესწილად კი ისინი მთავრობის საქმიანობას და „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიას აკრიტიკებდნენ.

„დღის ამბები“ აქტიურად უთმობდა პირდაპირ ეთერს ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის კანდიდატების წარდგენის ღონისძიებას. იყო შემთხვევები, როცა ჟურნალისტები გამოხატავდნენ ლოიალურ დამოკიდებულებასაც კონკრეტული კანდიდატის მიმართ.

12 აგვისტო, ეკა მიშველაძის „დღის ამბები“, (21:00:55), ეკა მიშველაძე: „სულ ცოტა ხანში გავიცნობთ „დროას“ გუნდის წევრებს. ძალიან საინტერესოა. მე ძალიან ვგულშემატკივრობ ამ პარტიას და ელენეს განსაკუთრებით და ძალიან მაინტერესებს ვინ არიან ის ადამიანები, ვინც თქვენთან ერთად, თქვენს გვერდით მხარდამხარ იბრძოლებენ იმისთვის, რომ დამარცხდეს ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი და იმისთვის, რომ ქვეყანაში დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები.“

ჟურნალისტი ეკა მიშველაძე ხელისუფლებას ღიად უპირისპირდებოდა. მისი საავტორო ტექსტები მკვეთრად გამოხატული ნეგატიური ტონით და ირონიით იყო გაჯერებული. ჟურნალისტი განსაკუთრებული სიხშირით უარყოფით კონტექსტში ირაკლი ღარიბაშვილზე საუბრობდა:

9 აგვისტო, ეკა მიშველაძის დღის ამბები, (20:50:51) ეკა მიშველაძე: „...ბ-ნო პრემიერი, თქვენ ხომ ამისთვის დაგნიშნეს მეორედ პრემიერის პოსტზე და უნაკლოდ ასრულებთ იმას, რაც თქვენმა „პატრონმა“ ბ-ნმა ბიძინამ დაგავალათ, ეს ხალხი და ქვეყანა კი წყალსაც წაუღიაო. ზოგი შიმშილით, ზოგი კოვიდით, ზოგიც ცემით მოკვდება, ალბათ იმის იმედი გაქვთ, ვინც გადარჩება იძულებული იქნება და უკვე არის კიდეც, ამ ქვეყნიდან წავიდეს. თქვენ კი, და

თქვენნაირები თქვენს „პატრონთან“ ერთად მარტო დარჩეთ და საბოლოოდ დაეპატრონოთ ამ ქვეყანას. ესაა თქვენი ოცნება, თუმცა აუხდენელი...“

10 აგვისტო, ეკა მიშველაძის დღის ამბები, 21:03:32 წამყვანი: ეს ის პრემიერია, ყოველდღე რომ "უტიფრად" გატყუებთ, დღესაც რომ მორიგი ტყუილი „გამოაცხო“ და ისეთი უგუნურები გონიხართ, რომ დარწმუნებულია, რომ „დაგაჯერათ“, რომ ფაიზერი მისი შემოტანილია...“

16 აგტვისტო ,ეკა მიშველაძის დღის ამბები 20:52:34 - გადაცემა ეკა მიშველაძემ საპროტესტო აქციიდან საკუთარი გამოსვლის ჩანაწერით გახსნა. ...“ მართლა სამარცხვინოები ხართ. არ ვიცი რას ვლაპარაკობ. 1 კვირის შვილიშვილი დავტოვე სახლში იმიტომ, რომ მომავალი არ აქვს, არც არავის, არცერთ ადამიანს, არც ბავშვს, არც ახალგაზრდას, არავის არ აქვს ამ ქვეყანაში თქვენს პირობებში მომავალი და თქვენ დამთავრდებით, ჩვენ მართლა დაგამთავრებთ. აი როგორც ემუქრებოდით სხვებს, ახლა მიიღეთ ჩვენგან ეს მუქარა და ნახეთ როგორია "ბოლომდე ჩაყოლა...“

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში თვალშისაცემი იყო რესპოდენტებისა და ჟურნალისტების პოზიციების თანხვედრა, რაც ხელს უშლიდა მათ დაესვათ კრიტიკული კითხვები და შემდგარიყო დისკუსიები.

უნდა აღინიშნოს, რომ „დღის ამბები“ აქტიურად უთმობდა ეთერს COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისების, მათ შორის, ვაქცინაციასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვას. გადაცემებში უმეტესწილად სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული, თუმცა ხშირად ჯანდაცვის ექსპერტებად წარდგენილ პირებს შორის იყვნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რის გამოც განცხადებები ძირითადად პოლიტიკური კონტექსტით იყო დატვირთული.

ამის მიუხედავად, 28 აგვისტოს, ეთერში გავიდა გადაცემა დიანა ტრაპაიძის „დღის ამბები“, სადაც სტუმრად უშუალოდ ექიმები იმყოფებოდნენ. გადაცემა დაცლილი იყო პოლიტიკური მიკერძოებულობისგან და სრულად მოახდინა პანდემიასთან დაკავშირებით მაყურებლის სიღრმისეული ინფორმირება, პირდაპირ ეთერში მაყურებლის შეკითხვებს უშუალოდ პროფესიონალები პასუხობდნენ.

კვირაში რამდენჯერმე სამუშაო დღის ბოლოს ეთერში გადიოდა გადაცემა **„პირველი ხაზი“**, რომელიც ასევე დღის აქტუალურ თემებს ეთმობოდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ხშირად გადაცემა დღის განმავლობაში გასული ინფორმაციების კიდევ უფრო დრამატიზებას ემსახურებოდა, მასში ძირითადად „ტვ პირველის“ ეთერში უკვე არაერთხელ განხილული თემები მეორდებოდა. წამყვანები არ იყვნენ მიუკერძოებლები და ხელისუფლების მიმართ უარყოფითი განწყობებით გამოირჩეოდნენ.

23 აგვისტო, (00:02:42) გიორგი ნიორაძემ მაყურებელს ამცნო, რომ: „... შეიძლება ქვეყანა აღმოჩნდეს ჟანგბადის გარეშე და ადამიანები დაიხრჩონ..., რაზეც ჯანდაცვის სპეციალისტმა ვახტანგ კალოანმა უპასუხა: ჟანგბადის გარეშე ვერ აღმოჩნდება, თუმცა ეს მუდმივი დაძაბულობა ქმნის პრობლემას....

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელი წამყვანს არწმუნებდა, რომ ქვეყანა ჟანგბადის გარეშე ნამდვილად ვერ აღმოჩნდებოდა, წამყვანი მუდმივად ცდილობდა მოვლენების ისე დრამატიზებას, რომ მოსახლეობაში პანიკის გაძლიერებისთვის შეეწყო ხელი.

გიორგი ნიორაძე ასევე არ ერიდებოდა პოლიტიკური სიმპათიების ღიად დაფიქსირებას:

18 აგვისტო, (00:19:25) გიორგი ნიორაძე ბათუმის მერობის კანდიდატს კახა ცისკარიძეს მიმართავს: „...გისურვებთ გამარჯვებას, ბათუმელი რომ ვიყო, ნამდვილად გულწრფელად გეუბნებით, აუცილებლად დაგიჭერდით მხარს...“

ჟურნალისტმა ასევე ღია მხარდაჭერა გამოუცხადა ზუგდიდს მერობის კანდიდატს - ანზორ მელიას.

16 აგვისტო, (23:43:41) გიორგი ნიორაძე: „...მე ჩემს სუბიექტურად თუ ობიექტურად, რა ვიცი, ყველანაირად, ორივე მხრივ ვიტყვი, რომ მე რომ ვიყო ზუგდიდის მაცხოვრებელი, აუცილებლად ბ-ნ ანზორს (მელია) მივცემდი ხმას და დავასაბუთებ რატომ, იმიტომ, რომ კარდიოინტერვენცია არის ასეთი მიმართულება, რომელიც გულით სიკვდილების პრევენციას ახდენს და იქ, სამეგრელოს რეგიონში, დროის დანაკარგების გარეშე მან განავითარა ეს სერვისი და ძალიან ბევრი ადამიანი, ათასი მეგრელი ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა....“

საერთო ჯამში, გადაცემაში სიღრმისეული დისკუსიები არ იმართება. მაყურებელი დამატებით ინფორმაციას და განსხვავებულ ანალიზს დღის მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად ვერ იღებს.

„დღის ამბებს“ პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე ხშირად სტუმრობდნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“, „გახარია-საქართველოსთვის“ და „ლელოს“ წარმომადგენლები: „ევროპული საქართველო“ (ოცდათოთხმეტჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ (სამოცდათორმეტჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ოცდაცხრამეტჯერ), „ლელო“ (ოცდათვრამეტჯერ), „გირჩი“ (ათჯერ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ათჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ოცდასამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (თერთმეტჯერ), „ელენე ხოშტარია - დროა“ (თერთმეტჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატები“ (ერთხელ), „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ (შვიდჯერ), „ტრიბუნა“ (რვაჯერ), „მოქალაქეები“ (სამჯერ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (შვიდჯერ), „ევროპელი დემოკრატები“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ცხრაჯერ), „პროგრესი და თავისუფლება“ (ორჯერ),

„რესპუბლიკური პარტია“ (სამჯერ), „სახალხო პარტია“ (ერთხელ) და „ემსახურე საქართველოს“ (ორჯერ).

გადაცემაში **„პირველი ხაზი“** მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ (ოთხჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ (ცხრაჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ხუთჯერ), „ლელო“ (ოთხჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ), „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ (ერთხელ) და დამოკიდებელი მერობის კანდიდატი კახა ცისკარიძე (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში ტვ პირველზე საარჩევნო კანდიდატებს შორის დებატები არ გამართულა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ პირველის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
84%
16%
მესამე ძალა
42%
58%
საქართველოს პრეზიდენტი
59%
41%
ნაციონალური მოძრაობა
48%
52%
საქართველოს მთავრობა
78%
22%
ლელო
24%
76%
ევროპული საქართველო
26%
74%
ელენე ხოშტარია - დროა
33%
67%
გახარია - საქართველოსთვის
68%
32%
ადგილობრივი მთავრობა
83%
17%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
ადგილობრივი მთავრობა
56%
42%
2%
გახარია - საქართველოსთვის
21%
76%
3%
ელენე ხომასურია - დრო
87%
13%
ევროპული საქართველო
6%
93%
1%
ლელო
4%
87%
8%
საქართველოს მთავრობა
47%
51%
3%
ნაციონალური მოძრაობა
16%
81%
2%
საქართველოს პრეზიდენტი
8%
87%
4%
მესამე ძალა
9%
87%
3%
ქართული ოცნება
64%
34%
2%


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
2%
56%
3%
21%
13%
1%
6%
8%
4%
3%
47%
2%
16%
4%
8%
3%
9%
2%
64%
ადგილობრივი მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
ელენე ხიმშიაშვილი - დრო
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება


გენდერი
29%
71%
ქალი
კაცი

შპს „მთავარი არხი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ნაციონალური მოძრაობა“ – 27.6% (პოზიტიური - 26%, ნეგატიური - 3%), „ქართული ოცნება“ – 20.2% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 79%), საქართველოს მთავრობა - 19.8% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 64%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - მთავარ არხზე მონიტორინგის პერიოდში მკვეთრად დადებითი და მიკერძოებული დამოკიდებულება დაფიქსირდა ოპოზიციის მიმართ, არხი ნეიტრალურ ან პოზიტიურ კონტექსტში აშუქებდა ოპოზიციას, განსაკუთრებით „ნაცნიონალურ მოძრაობას“ და ნეგატიურ კონტექსტში აშუქებდა საქართველოს მთავრობას და „ქართული ოცნების“ აქტივოვებებს, არ ერიდებოდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამოყენებას მათ მიმართ.

„მთავარი არხი“ საინფორმაციო გამოშვებაში „მთავარი 9-ზე“ მთავრობას და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს აშუქებდა ნეგატიურ კონტექსტში, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ირაკლი ღარიბაშვილზე, ასევე ზოგადად ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ კრიტიკაზე, ხშირად დარღვეული იყო ჟურნალისტური ეთიკის ნორმები.

13 აგვისტოს (21:12:24) „მთავარი 9-ზე“ გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით „ბელარუსი და პრემიერის სევდა საბჭოეთზე“, სადაც საქართველო და ბელორუსიის შორის ურთიერთანამშრობლობის შეთანხმებაზეა საუბარი, წამყვანი ამბობს: „ამ ტიპის პოლიტიკური ურთიერთობა აღარ არის მოულოდნელი მაშინ, როდესაც საქართველოს პრემიერი პუტინისა და ლუკაშენკოს მსგავსად საბჭოთა კავშირს მისტირის“.

ფიქსირდებოდა ტენდენცია, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრების გაშუქების დროს, არხი ძირითადად პარტიას აკრიტიკებდა და ამ კონკრეტულ საარჩევნო ღონისძიებაზე საერთოდ არაფერს ამბობდა. ასეთ სიუჟეტებში ხშირად გვხვდებოდა ირონიული დამოკიდებულება წამყვანების მხრიდან. მაგალითად:

18 აგვისტოს (21:48:53) საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით „ღარიბაშვილის მუქარა ზიზღის კამპანია“. წამყვანის შესავალი ტექსტი ასე იწყებოდა: „ოცნების ცხრა წლიანი მმართველობის უცვლელი ხელწერა და წინასაარჩევნო კამპანიის ასევე უცვლელი გზავნილები. ივანიშვილს სურვილებსა და ასევე მისი გუნდის საარჩევნო მესიჯების მთავარი გამხმოვანებელი მთავრობის მეთაური ღარიბაშვილია.“ თვითონ სიუჟეტში ირაკლი ღარიბაშვილი ქედაში იმყოფებოდა ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, სადაც მერის წარდგენა მოხდა, ხოლო არხმა პრემიერის გამოსვლა ისე გააშუქა, რომ საარჩევნო თემა საერთოდ დაიკარგა და ძირითადი აქცენტი ირაკლი ღარიბაშვილზე და მის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაპირისირებაზე გაკეთდა.

ასევე, 27 აგვისტოს (21:41:30) „გარდაცვლილი პოლიტიკური ლიდერებით ვაჭრობა ისევ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო არსენალშია“. „ირაკლი ღარიბაშვილის სპეკულაცია დღეს იმდენად იაფფასიანი იყო, რომ ოპონენტების და გამსახურდიას ხელისუფლების ყოფილი წევრების დაცინვაც კი დაიმსახურა“ - ამ სიტყვებით წარადგინა საინფორმაციოს წამყვანმა სიუჟეტი სახელით „პოლიტიკური სპეკულაცია“. ამის შემდეგ კი ჟურნალისტმა ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ ირონიული გამონათქვამები გამოიყენა: „ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ შეამოწმა ქართული თხილის ხარისხი, ამერიკელებს გაუზიარა გამოცდილება რაოდენ წარმატებით დაამარცხა საქართველოს ხელისუფლებამ ფაროსანა, ასევე თქვა, რომ ჩვენს საზღვაო აკვატორიაში ამიერიდან თევზებს დაიჭერენ მხოლოდ ქართული გემები და ხომალდები და თალიბანს გაუგზავნა ქართული წყალი. ამ აქტივობის უკან, რომელიც სხვა თანაბარ პირობებში კიმ ჩენ ინის ხელისუფლებას უფრო დაამშვენებდა და მოუხდებოდა, მარტივად იკითხება ირაკლი ღარიბაშვილის ერთადერთი ამოცანა პატრიოტულ-ეროვნული გრძნობით სპეკულირება და კონკრეტული ამომრჩევლის გულის მოგება“. კადრებში ჩანდა ,,ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრა, მაგრამ სიუჟეტის ავტორმა მთავარ თემად კვლავ პრემიერის და მმართველი ძალის კრიტიკა აირჩია, საარჩევნო შეხვედრა კი არ გაშუქებულა.

მთავარ არხს პარტია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრები მოსახლეობასთან და საარჩევნო კანდიდატების წარდგენები საანგარიშო პერიოდში არ გაუშუქებია. ეს მხოლოდ ერთხელ, გადაცემა „დღის სტუმარის“ ფარგლებში 1 სექტემბერს (19:00) გადაიცა, სადაც კახა კალაძის შტაბში საკრებულოს წევრობის კანდიდატების წარდგენის პრეზენტაცია იმართებოდა, რომელსაც არხმა პირდაპირი ეთერი 15 წუთი და 52 წამი დაუთმო.

ამავე დროს, არხი უხვად უთმობდა პირდაპირ ეთერს ოპოზიციას, განსაკუთრებით „ნაციონალურ მოძრაობას“, „ელენე ხოშტარია - დროას“, „ევროპული საქართველოს“, „გირჩი-მეტი თავისუფლებას“ და „ლელოს“’.

12 აგვისტოს (21:01:12) საინფორმაციო გამოშვებაში „ელენე ხოშტარია-დროას“ საარჩევნო წარდგენას 15 წუთი და 48 წამი დაეთმო.

15 აგვისტოს (21:00:14) „ნაციონალურ მოძრაობის“ კანდიდატების წარდგენა პირდაპირ ეთერში 24 წუთი და 12 წამი გრძელდებოდა.

21 აგვისტოს (21:22:20) „ოპოზიციის კანდიდატების წარდგენა ბათუმში“, რომელსაც მიაბეს ხატია დაკანოიძის წარდგენაც 21 წუთი და 37 წამი გრძელდებოდა, ხოლო 27 წუთი და 19 წამი მიმდინარეობდა „ოპოზიციის კანდიდატების წარდგენა“ თბილისში.

22 აგვისტოს (21:00:16) 27 წუთი და 19 წამი „ოპოზიციის კანდიდატების წარდგენას“ დაეთმო.

23 აგვისტოს (21:06:31) „ლელოს კანდიდატების წარდგენა“ მთავარ არხზე 17 წუთი და 24 წამი გრძელდებოდა, 31 აგვისტოს (21:28:09) „ლელოს წარდგენა აჭარაში“ 10 წუთი და 6 წამი.

1 სექტემბერს (21:01:33) „ნიკა მელიას საგანგებო განცხადება“ ამ სახელწოდების პირდაპირი ჩართვა, რომელიც შარლ მიშელის შეთანხმებაზე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისმოწერას ეხებოდა ეთერში 13 წუთი და 18 წამი გადაიცემოდა.

1 სექტემბერს თოქ-შოუში „დღის სტუმარი“ 19 საათზე პარტიამ „გახარია-საქართველოსთვის“ თბილისის მერობის კანდიდატი წარადგინა, რომელიც მთავარი არხის პირდაპირ ეთერში 34 წუთი და 6 წამი გადიოდა.

საანგარიშო პერიოდში ჭარბად იყო სიუჟეტები, სადაც მხოლოდ ოპოზიციის ბრალდებები ისმოდა ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მიმართ, მათ კი საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება არ ეძლეოდათ.

3 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში 21:00-ზე პირველივე სიუჟეტში „პასუხისმგებლობა დოკუმენტის ანულირებაზე“ ,,ქართული ოცნების“ წევრის ან მთავრობის წარმომადგენლის არცერთი კომენტარი არ გასულა, ისმოდა მხოლოდ ოპოზიციის კრიტიკა მათ მიმართ. არხს ან სიუჟეტის ავტორს თავის რეპორტაჟში არ უთქვამთ, რომ მთავრობა და „ქართული ოცნება“ მათთან ბოიკოტის რეჟიმში იმყოფება ან ის, რომ კომენტარზე უარი განაცხადეს.

ასევე ცალმხრივი იყო 15 აგვისტოს (21:39:26) სიუჟეტი სახელწოდებით „ოცნება გასაყალბებლად ემზადება“, სადაც დრო „ქართული ოცნების“ კრიტიკისთვის მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს დაეთმოთ, მმართველი პარტიის წარმომადგენლის კომენტარი კი ეთერში არ გასულა.

საანგარიშო პერიოდში „მთავარ არხზე“ გადაუმოწმებელი და ყალბი ახალი ამბები გადიოდა, რომელშიც უსაფუძვლო ბრალდებები და ფაქტებით გაუმყარებელი ინფორმაცია იყო.

10 აგვისტოს (21:01:31) „მზადება საკადრო ცვლილებებისთვის“ სიუჟეტში საუბარი იყო ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობიდან წასვლაზე. ჟურნალისტი საუბრობდა, რომ მათ წყარომ ინფორმაცია მიაწოდა და ასევე აპელირებდა საერთაშორისო საზოგადოების მოსაზრებაზე, რომ დემოკრატიული სამყარო პრემიერ-მინისტრის გაშვებას კატეგორიულად მოითხოვდა. ეთერში არ გასულა ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორების არცერთი განცხადება ღარიბაშვილის პოსტიდან წასვლაზე. „მთავარ არხზე“ გასულ სიუჟეტში პრემიერის თანამდებობაზე პარლამენტის თავმჯდომარის დანიშვნაც ივარაუდეს, მაგრამ კახა კუჭავამ ორივე ფაქტი უარყო.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - მთავარ არხზე გადიოდა თოქ-შოუ **„დღის სტუმარი“, „მთავარი აქცენტები“, „ღამის მთავარი“ და „თქვენი ხმა“**.

გადაცემას **„დღის სტუმარი“** სტუმრობდნენ - „ნაციონალური მოძრაობა“ (ოცდათხუთმეტჯერ), „კანონი და სამართალი“ (ორჯერ). „ევროპული საქართველო“ (ოცჯერ), „გირჩი - მეტი თავისუფლება“ (ცხრაჯერ), „მესამე ძალა“ (ექვსჯერ), „ლელო“ (ცხრაჯერ), „ელენე ხოშტარია - დროა“ (რვაჯერ), „ტრიბუნა“ (სამჯერ), „ეკა ბესელია - სამართლიანობისთვის“ (ოთხჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ).

თოქ-შოუ **„დღის სტუმარი“** დღის განმავლობაში სამჯერ გადის და თემის აქტუალურობის მიხედვით სტუდიაში ან ჩართვაში მოწვეული ჰყავდათ სტუმრები, ძირითადად ოპოზიციის წარმომადგენლები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ან პოლიტოლოგები. წამყვანები მომზადებულები იყვნენ გადაცემისთვის, მაგრამ ოპონირებას არ უწევდნენ რესპოდენტებს. გადაცემაში არცერთი „ქართული ოცნების“ ან მთავრობის წარმომადგენელი არ ყოფილა მიწვეული და საანგარიშო პერიოდში წამყვანს არ უთქვამს, რომ ისინი უარს აცხადებენ სტუდიაში მოსვლაზე ან ბოიკოტის რეჟიმში არიან არხთან.

„მთავარ არხზე“ გასულ თოქ-შოუებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შურაცხმოყოფელი ლექსიკის გამოყენების ფაქტები, ძირითადად წამყვანების მხრიდან. ასევე მოწოდება, რომ არჩევნებზე შემოხაზონ ყველა, 41 ნომრის გარდა.

3 აგვისტოს (19:00) გადაცემა „დღის სტუმარში“, სადაც საუბარი იყო ევროკავშირთან ჩაშლილ მოლაპარაკებებზე, ექსპერტმა გია ხუხაშვილმა (21:25) ირაკლი კობახიძეს „გადამწიფებული თინეიჯერი“ უწოდა, (20:26) მოგვიანებით „ბოლო იდიოტი“. წამყვანმა რესპოდენტს კორექტულობის დაცვისკენ არ მოუწოდა.

გადაცემას **„მთავარი აქცენტები“** სტუმრობდნენ - „ნაციონალური მოძრაობა“ (ოთხჯერ), „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), „გირჩი - მეტი თავისუფლება“ (ერთხელ), „ელენე ხოშტარია - დროა“ (ერთხელ).

15 აგვისტო-გადაცემა **„მთავარი აქცენტები“:** ამ დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ სიის წარდგენა გაიმართა და სიის ყველა წარმომადგენელი გადაცემაში იმყოფებოდა. თოქ-შოუს წამყვანი არ იყო მიუკერძოებელი და ნეიტრალური, ის გადაცემის დასაწყისშივე ღიად და დაუფარავად აფიქსირებდა თავის მხარდაჭერას „ნაციონალური მოძრაობის“ და ანტიპათიას მთავრობის მიმართ, რაც წამყვანის შესავალი სიტყვიდანაც ჩანდა: (22:27:35) ,,მართალი გითხრათ, მე მქონდა ენერგეტიკული დანაკლისი. სულ ვფიქრობდი სად არიან, როდის დაიწყებენ და რაც მთავარია რითი დაიწყებენ, რა იქნება პირველი მუხტი? რომელიც მეც ძალიან ოპტიმისტურად განწყობილ ადამიანს, მათ შორის ოპოზიციის მიმართ, პირველ რიგში მომცემდა იმის რწმენის სურვილს და ენერგიას, რომ ამ საერთო ბრძოლაში ისტორიაში ყველაზე ცუდი ხელისუფლების წინააღმდეგ, საერთო ბრძოლაში, რომელსაც 2 ოქტომბრის

რეფერენდუმი ქვია, მომცემდა მუხტსა და ენერგიას, რომელიც მაკლია.“ (00:44:22) წამყვანი დამშვიდობებისას შემდეგ სიტყვებს ამბობს: „ყველას წარმატებს ვუსურვებ, დააფიქსირეთ თქვენი არჩევანი 2 ოქტომბერს აუცილებლად და შემოხაზეთ ნებისმიერი 41–ის გარდა და მოიპოვეთ ჩვენთან ერთად (ამ დროს ხელის მოძრაობით აჩვენებს სტუდიის სტუმრებზე) ჩვენი სამშობლოს და თქვენი პირადი თავისუფლება.“

22 აგვისტოს (22:47) გადაცემაში „მთავარი აქცენტები“ რეგიონებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების წარდგენა გაიმართა. წამყვანს სტუმრად ჰყავდა მოწვეული წარდგენილი კანდიდატები და თავისი განცხადებებით ღიად უჭერდა მხარს ოპოზიციას: (22:47:22) „წილი ნაყარია და რუბიკონი გადალახულია, დაიწყო ომი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის, კეთილდღეობისთვის, გაგიკვირდებათ და თავისუფლად სუნთქვისთვის მათ შორის“.

ამავე გადაცემაში: (22:49:29) „მე ჩავატარე გამოკითხვა ტელეფონის მეშვეობით, რომელიც 24 საათს გრძელდებოდა და ეხებოდა პრემიერ ღარიბაშვილს, მაშ ასე, კითხვა ჟღერდა შემდეგნაირად აქვს თუ არა წაკითხული ირაკლი ღარიბაშვილს ერთი წიგნი მაინც? სასკოლო პროგრამაში შემავალი წიგნები და ნაწარმოებები არ ითვლება. ერთი საათის წინ კენჭისყრა დასრულდა. წაკითხული აქვს მიაჩნია 575 ადამიანს, არ აქვს მიაჩნია 4500 ადამიანს, სულ 5100 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ამ გამოკითხვაში. ეს გამოკითხვა რეპრეზენტატიული არ არის, თუმცა ჩვენ ამის გადამოწმება შეგვიძლია. მე პირდაპირ ეთერში ვთავაზობ პრემიერ ღარიბაშვილს ჩემთან ინტერვიუს, სადაც მას არცერთ შეკითხვას არ დაუსვავ პოლიტიკაზე და არც არანაირ თემაზე, ერთადერთი ვითხოვ მისგან რა წიგნები აქვს წაკითხული და შერჩევითი პრინციპით მოვაყოლებ თვითოეული წიგნის შინაარს, რომ არ გამოვიდეს, რომ იგი მარტო სათაურებს თვლის. მაშ ასე ვეპატიჟები პრემიერ ღარიბაშვილს პირდაპირ ეთერში, თუ ის თვლის, რომ ძალიან ბევრი წიგნი აქვს წაკითხული შეუძლია „მთავარი ჭკვიანიც“ ითამაშოს ესეც ჩემი გადაცემაა.“ წამყვანი ღიად შეურაცხყოფს პრემიერს და ირონიული ტონით საუბრობს, რომ გაუნათლებელია, არ იცავს ნეიტრალიტეტს და ჟურნალსტურ ეთიკას.

31 აგვისტო (22:00) **„ღამის მთავარი“** - გადაცემაში საუბარი გართულებულ კოვიდპანდემიას და მის მართვას ეხებოდა. სტუმრად მოწვეული იყვნენ ექიმები. წამყვანმა შესავალ ტექსტში შემდეგი სიტყვები თქვა: (22:04:13) „ბიძინა ივანიშვილის მარიონეტი ღარიბაშვილი ბედნიერად აგრძელებს პრემიერობას და მაშინაც კი, როცა ვერ ავუდივართ კუბოების თვლას, ის არაფერს იმჩნევს და ბედნიერი სახით განაგრძობს წინასაარჩევნო კამპანიას. იმედია ერთ დღეს ერთი დაზარალებული ოჯახი უჩივლებს მკვლელ მთავრობას და ღარიბაშვილს იმისთვის, რომ მისი უგუნური გადაწყვეტილებების გამო დაკარგეს ოჯახის უძვირფასესი წევრები.“

საანგარიშო პერიოდში მთავარ არხზე მხოლოდ ერთხელ გავიდა გადაცემა **„თქვენი ხმა“,** სადაც საქართველოს ყველა რეგიონში ცალ-ცალკე ჩადიოდნენ ჟურნალისტები და რესპოდენტებს ეკითხებოდნენ სწორედ მართავს თუ არა ხელისუფლება პანდემიას? გამოკითხულთა უმეტესობა ხელისუფლებას აკრიტიკებდა და კითხვაზე უარყოფით პასუხს სცემდა.

საანგარიშო პერიოდში მთავარ არხზე პოლიტიკური დებატები არ გასულა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მთავარი არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
83%
17%
ადგილობრივი მთავრობა
83%
17%
მესამე ძალა
15%
85%
საქართველოს პრეზიდენტი
67%
33%
ნაციონალური მოძრაობა
16%
84%
საქართველოს მთავრობა
78%
22%
ლელო
9%
91%
ევროპული საქართველო
16%
84%
ელენე ხოშტარია - დროა
30%
70%
გირჩი-მეტი თავისუფლება
46%
54%
გახარია - საქართველოსთვის
55%
45%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
75%
25%
1%
99%
3%
97%
100%
17%
83%
35%
64%
26%
71%
3%
87%
13%
2%
98%
22%
78%
21%
79%
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი-მეტი თავისუფლება
ელენე ხიმშიაშვილი - დრო
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
25%
17%
64%
26%
3%
13%
78%
79%
გახარია - საქართველოსთვის
ლელა
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება


გენდერი
23%
77%
ქალი
კაცი

<u>წინასაარჩევნო გარემო, დარღვევები და რეკომენდაციები:</u>

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნულ 6 მაუწყებელზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ:

„საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაზე“, საინფორმაციო გამოშვებები ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით იყო განთავსებული, აღნიშნულ არხებზე მიმდინარე ამბები მშვიდ ტონში შუქდებოდა, სიუჟეტები ეძღვნებოდა სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო აქტივობების გაშუქებას, რაც მაყურებლის ინფორმირებას ემსახურებოდა.

„რუსთავი 2“-ის შემთხვევაში, მიუკერძოებლობა მეტ-ნაკლებად დაცული იყო, დრო ეთმობოდა სხვადასხვა პარტიების საარჩევნო აქტივობებს, არჩევნებთან დაკავშირებული სიუჟეტები ამომრჩევლის ინფორმირებას უწყობდა ხელს, თუმცა „ქართული ოცნების“ საარჩევნო ღონისძიებების გაშუქებას ყველაზე მეტი დრო ეთმობოდა და გვხვდებოდა შემთხვევები, როცა ბალანსი ბოლომდე არ იყო დაცული.

„ტელეიმედის“, „ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ ეთერში გასული სიუჟეტები და გადაცემები აშკარად მიკერძოებული და დაუბალანსებელი იყო. საინფორმაციო გამოშვებები, ისევე როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემები, გამოირჩეოდა ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევებით.

„ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ გადაცემებში გვხვდებოდა შეცდომაში შემყვანი, ყალბი ინფორმაცია, ისმოდა მძიმე ბრალდებები, რომლებიც არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით, ჟურნალისტების მხრიდან ხშირი იყო ეთიკური ნორმების დარღვევა, ირონიული და შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენების შემთხვევები.

შეგახსენებთ, რომ მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი მაგალითები მაუწყებელთა ქცევის კოდექსის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. მათზე რეაგირება და განხილვა, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში არის შესაძლებელი, ხოლო მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება არც კომუნიკაციების კომისიაში და არც სასამართლოში.

2021 წლის 26 აგვისტოს გამართულ საჯარო სხდომაზე კომუნიკაციების კომისიამ 7 მაუწყებლის მიერ საპარლამენტო არჩევნების დროს „საარჩევნო კოდექსის“ დარღვევის საკითხები განიხილა. კერძოდ, კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია „იმედს“, „მაესტროს“, „რუსთავი 2“-ს, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას“, „ფორმულას“ და „ტელეკომპანია პირველს“ სამართალდარღვევის ოქმები შეუდგინა. მათ არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები სავალდებულო ინფორმაციის მითითების გარეშე გააშუქეს, რითაც საქართველოს ორგანული

კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (შემგომში - საარჩევნო კოდექსი) 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი დაარღვიეს.

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნულ 6 მაუწყებელში **საარჩევნო სუბიექტები არაპოლიტიკურ გადაცემებში** მიწვეული არ ყოფილან.